საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №01-02/303

ქ. ბათუმი 28 დეკემბერი, 2022 წელი

ბსუ-ს პროფესიული მომზადების პროგრამაზე ,,ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა" მსმენელთა მიღების გამოცხადების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ,,პროფესიული განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 05 დეკემბრის N01-02/202 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 29 ნოემბრის N 01-02/198 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით პროფესიული მომზადების პროგრამის ,,ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა" დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 29 ოქტომბრის N01-02/190 ბრძანების, ,,სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული მომზადების პროგრამის ,,ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა" ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის თაობაზე" განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 22 ნოემბრის MES 4210001254482 ბრძანების, ,,ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს გენერალური დირექტორის 2021 წლის 30 დეკემბრის N1439288 ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დაფინანსების" ქვეპროგრამის ფარგლებში შემოსული განაცხადების დაფინანსების შესახებ" პროფესიული უნარების სააგენტო გენერალური დირექტორის 2022 წლის 21 დეკემბრის MES 6220001637622 ბრძანების და ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის 2022 წლის 23 დეკემბრის N1648720 სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს მსმენელთა მიღება (ჯგუფში 20 მსმენელი, სწავლის დაწყება - **2023 წლის 06 თებერვალი**) ბსუ-ს პროფესიული მომზადების პროგრამაზე **,,ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა"** წინამდებარე ბრძანების N1 **დანართის** შესაბამისად.
2. პროფესიული მომზადების პროგრამაზე სწავლის **მსურველთა რეგისტრაცია** განხორციელდეს **2022 წლის 30 დეკემბრიდან 2023 წლის 20 იანვრის ჩათვლით,** ელექტრონულად, შემდეგ მისამართზე - http://vet.emis.ge (რეგისტრაციასთან დაკავშირებულ საკითხზე კონსულტაციისათვის დაინტერესებულმა პირებმა

დაუკავშირდნენ ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ცხელი ხაზი: 577-49-19-39).

3. ბსუ-ს პროფესიული მომზადების პროგრამაზე **„ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა“** რეგისტრირებულმა აპლიკანტებმა **ელექტრონულ ფოსტაზე:** vocational@bsu.edu.ge **2023 წლის 21 იანვრიდან 23 იანვრის ჩათვლით უნდა წარმოადგინონ:**

ა) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

4. განისაზღვროს დადგენილ ვადაში დარეგისტრირებულ **აპლიკანტთა შეფასების (გასაუბრების ადგილი და თარიღი** წინამდებარე ბრძანების **№2 დანართის შესაბამისად.**

5. ბსუ-ს პროფესიული მომზადების პროგრამაზე **„ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა“** აპლიკანტთა შეფასებისა (გასაუბრება) და შეფასების პროცესის ადმინისტრირების მიზნით **შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:**

ა) **მადონა მიქელაძე** - პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორი (კომისიის თავმჯდომარე);

ბ) **მამუკა გოგელია** - პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი;

გ) **რეზო ვასაძე** - პროფესიული მომზადების პროგრამის განმახორციელებელი, დამსაქმებელი;

დ) **ბიძინა კოჩალიძე** - პროფესიული მომზადების პროგრამის განმახორციელებელი, დამსაქმებელი;

ე) **ჯუმბერ აბულაძე** - სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე;

ვ) **რუსლან დავითაძე** - სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტოს ტყის მონიტორინგის სამსახურის უფროსი, დამსაქმებელი;

6. ბსუ-ს პროფესიული მომზადების პროგრამაზე **„ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა“ ჩარიცხვის უფლებამოპოვებულმა პირმა** ცენტრის ადმინისტრაციულ შენობაში (ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. N15, მე-3 სართული, ოთახი N303) **2023 წლის 29 იანვრიდან 31 იანვრის ჩათვლით უნდა წარმოადგინოს <u>მატერიალური სახით შემდეგი დოკუმენტები:</u>**

ა) განცხადება ბსუ-ს რექტორის სახელზე, პროგრამაზე ჩარიცხვის თაობაზე;

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (დედანთან ერთად);

გ) ფოტოსურათი (3X4);

დ) პროფესიული მომზადების **პროგრამით - „ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა“ განსაზღვრული წინარე განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი** (ბსუ-ს კურსდამთავრებულის შემთხვევაში უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის ასლი, ბსუ-ს გერბიანი ბეჭდით დამოწმებული);

ე) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირებისათვის);

ვ) ხელშეკრულება საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ (გაფორმდება ცენტრში, აპლიკანტის მიერ ზემოაღნიშნული პირადი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ).

7. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა უზრუნველყოს ბსუ-ს ვებგვერდზე და სოციალურ ქსელში ბსუ-ს პროფესიული მომზადების პროგრამაზე **„ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა“** მიღების გამოცხადების შესახებ ინფორმაციის განთავსება, ასევე

მსურველთა (აპლიკანტთა) რეგისტრაციის პროცესში მათი მხარდაჭერა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება.

8. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში - ,,განცხადებები'' და ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი'', ასევე ,,რექტორის ბრძანებები") და გამოქვეყნდეს ბსუ-ს ფაკულტეტებისა და საქმისწარმოების სამსახურთან (კანცელარია) არსებულ საინფორმაციო დაფებზე.

9. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ფაკულტეტებს, საზოგადოებასთან ურთიერთობისა სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.

10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილი წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**

„ბსუ-ს პროფესიული მომზადების პროგრამაზე „ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა“ მსმენელთა მიღების გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის

2022 წლის 28 დეკემბერი N01-02/303 ბრძანების

დანართი N1

პროგრამის კოდი	პროფესიული გადამზადების პროგრამის დასახელება	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	სწავლების ხანგრძლივობა (კვირეებში)	სწავლების ხანგრძლივობა (საათებში)	მისაღები მსმენელების რაოდენობა	სასწავლო პროცესის ვადები - მეოთხე და მეხუთე ნაკადის მსმენელებისათვის
01238	„ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა“	მესამე	9	90 (კვირაში 10 სთ)	20	**06.02.2023-16.04.2023**

ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 29 ოქტომბრის N01-02/190 ბრძანებით დამტკიცებული, ,,ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით პროფესიული მომზადების პროგრამის **,,ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა"**

დაშვების წინაპირობებია:

განათლება - სრული ზოგადი; **ასაკი** - 18 წელი; **აპლიკანტთა შერჩევის ფორმა** - გასაუბრება

პროგრამის მიზნები:

პროფესიული მომზადების პროგრამის ,,ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა" მიზანია შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით მოამზადოს კონკრეტული ცოდნისა და უნარების მქონე კადრი, რომელსაც შეეძლება: საქართველოს ტყის შემქმნელი ძირითადი წიწვოვანი და ფოთლოვანი სახეობების დახასიათება და საქართველოს „წითელი ნუსხის" დანიშნულების განმარტება, ტყის არამერქნული რესურსების მოპოვების წესების და მეთოდების აღწერა, სამუშაოს ორგანიზება და ტყის არამერქნული რესურსის მოპოვება.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)

1. საქართველოს ტყის შემქმნელი ძირითადი წიწვოვანი სახეობების დახასიათება;
2. საქართველოს ტყის შემქმნელი ძირითადი ფოთლოვანი სახეობების დახასიათება;
3. საქართველოს „წითელი ნუსხის" დანიშნულების განმარტება;
4. ტყის არამერქნული რესურსების მოპოვების წესებისა და მეთოდების აღწერა;
5. სამუშაოს ორგანიზება;
6. ტყის არამერქნული რესურსების მოპოვება.

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროფესიული მომზადების პროგრამა ,,ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა" განკუთვნილია სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოში დასაქმებული ან/და ნებისმიერი დასაქმების მსურველთათვის. 2020 წლიდან ბსუ ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ,,სატყეო საქმე". პროგრამის განხორციელების საჭიროება დადგა სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტოს ხელმძღვანელის (N9/035; 12.10.2021წ.) წერილობითი მომართვის საფუძველზე (გაფორმდა მემორანდუმი). პროფესიული მომზადების პროგრამის მოცულობა შეადგენს 90 სთ, რომელიც ხორციელდება 10 კვირის განმავლობაში (კვირაში - 10 სთ, 3-4 დღე დამსაქმებელთან შეთანხმებით). პროგრამა ხორციელდება ბსუ-სა და სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს ბაზაზე. განმსაზღვრელი შეფასება ხორციელდება V

და IX კვირას. შეფასება ითვალისწინებს ორი ტიპის შეფასებას: ა)სწავლის შედეგი დადასტურდა; ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა. შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში მსმენელს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება, მაქსიმუმ ერთხელ. პროფესიული მომზადების დასრულების შემდეგ მსმენელი შეძლებს საქართველოს ტყის შემქმნელი ძირითადი წიწვოვანი და ფოთლოვანი სახეობების დახასიათებას და საქართველოს „წითელი ნუსხის" დანიშნულების განმარტებას, ტყის არამერქნული რესურსების მოპოვების წესებისა და მეთოდების აღწერას, სამუშაოს ორგანიზებას და ტყის არამერქნული რესურსის მოპოვებას.

პროგრამის დასრულების შემდეგ გაიცემა სახელმწიფოს მიერ აღიარებული **სერტიფიკატი** და <u>შესაბამისი</u> <u>დანართით.</u>

,,ბსუ-ს პროფესიული მომზადების პროგრამაზე „ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა“ მსმენელთა მიღების გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის

2022 წლის 28 დეკემბერი N01-02/303 ბრძანების

დანართი N2

პროგრამის კოდი	პროფესიული გადამზადების პროგრამის დასახელება	აპლიკანტის შეფასების ფორმატი	შეფასების თარიღი და დრო	შეფასების ადგილი	შეფასების კრიტერიუმები	
					მაქსიმალური ქულა	მინიმალური კომპეტენციის ზღვარი
01238	,,ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა“	გასაუბრება	25.01.2023 12:00 საათი	ქ, ბათუმი, ლეონიძის ქ. N15, ბსუ-ს VI კორპუსი, III სართული, აუდიტორია N311	100	51